

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №3 მარტი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს ილეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

მართლმადიდებლობის ზეიმი

დიდმარხვის პირველ კვირას ეკლესია აღნიშნავს „მართლმადიდებლობის ზეიმს“. ეს ტრადიცია დასაბამს იღებს IX საუკუნიდან. როგორც ცნობილია, მეშვიდე მსოფლიო კრებამ (787წ.) დაამტკიცა ხატებისა და სხვა საეკლესიო სიწმინდეების თაყვანისცემის ჭეშმარიტება. თუმცადა მწვალებლობა ამ კრების შემდეგაც არ ჩამქრალა და აგრძელებდა ბრძოლას საღმრთო სწავლების წინააღმდეგ. დედოფალმა თეოდორამ ხატმრძოლი მეუღლის, იმპერატორ თეოფილეს გარდაცვალების შემდეგ, 842 წლის 18 თებერვალს მოაწვევინა საეკლესიო კრება ხატთაყვანისცემის აღდგენისათვის. ამ კრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მართლმადიდებლური სწავლება ხატთა თაყვანისცემის შესახებ.

მოყვარე ხელოსანი ფარულად განერიდა თანამგზავრებს. შემდგომში იგი პატივით ინახავდა წმიდა თავს, სიკვდილის წინ კი დას გადასცა. იმ დროიდან მოყოლებული სიწმინდე მემკვიდრეობით გადაეცემოდა ღვთისმოშიშ ქრისტიანებს მანამ, სანამ მისი მფლობელი არ გახდა ერეტიკოსი მღვდელმთავარი ევსტათი. იგი პატიოსანი თავის სიწმინდის ძალით კურნავდა სნეულებს, აღსრულებულ სასწაულებს კი ერესის მადლს მიაწერდა და აცდუნებდა გამოუცდელ სულებს. როცა ევსტათის ბოროტმოქმედება გაცხადდა, ის იძულებული გახდა გაქცეულიყო, სიწმინდე კი ემესის მახლობელ მღვიმეში დამალა. გამოქვაბულში დამკვიდრდნენ კეთილმსახური ბერები, შემდეგ კი აქ მონასტერიც დაარსდა. 452 წელს სავანის არქიმანდრიტ მარკელეს იოანე ნათლისმცემელმა თავისი წმიდა თავის აღგილსამყოფელი აუწყა. ეს მოვლენა სიწმიდის მეორედ პოვნის სახელით იდღესასწაულება. ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ჯერ ემესაში გადაასვენეს, შემდეგ კი — კონსტანტინეპოლში.

პირველად (IV) და მეორედ (452) პოვნა პატიოსნისა თავისა წმიდისა დიდებულისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი

წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის (ხს. 29 აგვისტოს) შემდეგ მისი სხეული მოწაფეებმა პატივით დაკრძალეს სამარიის ქალაქ სებასტიაში, წმიდა თავი კი უსჯულო ჰეროდიადამ უპატიო ადგილას დაფლა. კეთილმსახურმა იოანემ, ჰეროდეს ეზოს მოძღვრის, ქოზას ცოლმა იოანეს თავი ფარულად ჩადო პატიოსან ჭურჭელში და ელეონის მთაზე მიაბარა მიწას. მრავალი წლის შემდეგ ეს ადგილ-მამული კეთილსამხური დიდებულის, ინოკენტის მფლობელობაში გადავიდა, რომელმაც აქ ტაძარი ააშენა. ტაძრის საძირკველის თხრის დროს აღმოჩენილი იქნა ჭურჭელი უფლის წინამორბედის თავით. ნაპოვნი სიწმინდის სიდიადე მასთან აღსრულებული სასწაულებით გაცხადდა. ეს იყო იოანე ნათლისმცემლის თავის პირველი პოვნა. ინოკენტი კრძალვით ინახავდა მას, მაგრამ სიკვდილის წინ იმის შიშით, რომ სიწმინდე უსჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელში, იმავე ადგილას ჩაფლა, საიდანაც ამოიღო. შემდეგ ეს ადგილი თანდათან გაუდაბურდა.

მოციქულისწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის ზეობისას, ქრისტიანობის აყვავების ხანაში, წმიდა ადგილების მოსალოცად ჩასულ ორ ბერს იერუსალიმში ორჯერ გამოეცხადა უფლის წინამორბედი და თავისი პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი ამცნო. ბერებმა ამოთხარეს სიწმინდე. აქლემის ტყავის ტომარაში ჩადეს და შინისაკენ გაბრუნდნენ. გზად მათ შეხვდათ უცნობი მექოთნე და ძვიფასი ტვირთი მას მისცეს სატარებლად. მეკეცემ არ იცოდა, რა სიწმინდე მიჰქონდა, მაგრამ მას თავად ნათლისმცემელი გამოეხადა და უბრძანა, გაქცეოდა დაუდევარ და უდებ ბერებს და თან გაეყოლებინა ისიც, რაც ხელთ ეჭირა. ღვთისმოყვარე ხელოსანი ფარულად განერიდა თანამგზავრებს. შემდგომში იგი პატივით ინახავდა წმიდა თავს, სიკვდილის წინ კი დას გადასცა. იმ დროიდან მოყოლებული სიწმინდე მემკვიდრეობით გადაეცემოდა ღვთისმოშიშ ქრისტიანებს მანამ, სანამ მისი მფლობელი არ გახდა ერეტიკოსი მღვდელმთავარი ევსტათი. იგი პატიოსანი თავის სიწმინდის ძალით კურნავდა სნეულებს, აღსრულებულ სასწაულებს კი ერესის მადლს მიაწერდა და აცდუნებდა გამოუცდელ სულებს. როცა ევსტათის ბოროტმოქმედება გაცხადდა, ის იძულებული გახდა გაქცეულიყო, სიწმინდე კი ემესის მახლობელ მღვიმეში დამალა. გამოქვაბულში დამკვიდრდნენ კეთილმსახური ბერები, შემდეგ კი აქ მონასტერიც დაარსდა. 452 წელს სავანის არქიმანდრიტ მარკელეს იოანე ნათლისმცემელმა თავისი წმიდა თავის ადგილსამყოფელი აუწყა. ეს მოვლენა სიწმიდის მეორედ პოვნის სახელით იდღესასწაულება. ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ჯერ ემესაში გადაასვენეს, შემდეგ კი — კონსტანტინეპოლში.

ჯვრის თაყვანისცემა

დიდმარხვის მესამე კვირიაკეს ტაძრებში ჯვრის თაყვანისცემა აღინიშნება.

ტრადიციისამებრ, პატიოსანი და ცხოველისმყოფელი ჯვრის თაყვანისცემის დღეს, ყვავილებით შემკულ ჯვარს ტაძრებში შუა ადგილას დააბრძანებენ.

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე — ცხოველისმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს მოციქულთასწორი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის (303-337) დროს.

14 მარტს სტეფანწმინდის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიაში ჩატარებულ წირვა-ლოცვაზე სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსმა ილეგუდიელმა ქადაგებაში აღნიშნა, რომ ჯვრის თაყვანისცემა მართლმადიდებლურ ეკლესიაში დიდმარხვის შუა მესამე კვირას აღინიშნება. იგი მორწმუნეებს უფლის ვნებებს ახსენებს და რწმენაში აძლიერებს. აღინიშნა, რომ მორწმუნეებს მთელი კვირის განმავლობაში შესაძლებლობა ექნებათ ეკლესიაში დღის განმავლობაში თაყვანი სცენ ეკლესიის შუაში დასვენებულ ჯვარს. მეუფემ დალოცა სრულიად საქართველო, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია და ისურვა, ჯვრის ძალამ ქვეყანა გაამთლიანოს.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

12 (25 მარტი) — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე



1801 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა და ქრისტიანობის ბურჯი ქვეყანა ორი გუბერნიის სახით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. მალე გაირკვა, რომ რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმება და მისი რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარება. ასეც მოხდა — პოლიტიკურ თავისუფლებადაკარგულმა საქართველომ სულიერი დამოუკიდებლობაც დაკარგა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცებმა, ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დაიწყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ქართველი საზოგადოების მოწინავე ჯგუფმა, წმიდა ილია მართლის მეთაურობით, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა.

1917 წლის 12 (25) მარტს, ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე მიიღო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი. იმავე წლის სექტემბერში, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, 106 წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩია კათალიკოს-პატრიარქი. ეს პატივი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში. მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევით ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ავტოკეფალურობა.

29 მარტი — ხსენება წმიდა ამბროსი ხელაიასი 1961-1927 წ.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქად 1921 წელს დაასხეს ხელი.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს კვლავ დაედგა მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს სამშობლოში ფეხის შემოდგმის დღიდან დაიწყო სარწმუნოების დევნა.

წმიდა ამბროსიც მალევე გახდა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი. ის დააპატიმრეს.

სასამართლო პროცესის ბოლოს მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში წმიდა ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — საქართველოს, გვამს კი რაც გნებავთ ის უყავით“.

1994 წელს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის იგი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით.

გარდაცვლილის სულისათვის სიხარულია ის, რომ მისთვის ძვირფასი ადამიანები აგრძელებენ ლოცვას

ეკლესია გვასწავლის, რომ მიცვალებულს გარდაცვალების დღიდანვე სჭირდება მზრუნველობა, რაც მისთვის დადგენილი წესების აღსრულებით უნდა გამოიხატოს. ადამიანს გარდაცვალების დღიდან აღარ ძალუძს საკუთარ თავზე ზრუნვა და მთლიანად ახლობელს არის მინდობილი. მართალია, არც ერთი ჭირისუფალი არ ტოვებს გარდაცვლილს მზრუნველობის გარეშე, მაგრამ ეკლესიური ცხოვრების უგულებელყოფის შედეგად წლების განმავლობაში ჩვენში მრავალი ისეთი ჩვეულება დამკვიდრდა, რომლებიც ეწინააღმდეგება წმინდა ეკლესიის სწავლებას.

მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მატარებელი წეს-ჩვეულებათა აღსრულებით გარდაცვლილის სულს ვერ შევეწევით, მისთვის მთავარი სულიერი დატვირთვის მატარებელი წესების აღსრულებაა.

იმის გასარკვევად, რომელ წეს-ჩვეულებათა აღსრულება არის მართებული მიცვალებულთათვის და რომელი შეიძლება აღვასრულოთ, გვესაუბრება კობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, მღველმონაზონი ილარიონ ქიშმარია.

— მამაო, ჩვენი თხოვნა იქნებ გაგვესაუბროთ სიკვდილის თემასთან დაკავშირებით. ეს ის თემაა, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის, თუმც ამ საკითხს სხვადასხვაგვარად განიხილავენ ერის ადამიანები. უკეთესი იქნება, თუ თქვენ ეკლესიის აზრს გაგვიმხელთ და უკეთესად დაგვანახებთ ამ ყველაფერს.

საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს წესი მიცვალებულთათვის საფლავში ტანსაცმლისა და სხვადასხვა ნივთების ჩატანებისა. როგორი დამოკიდებულება აქვს მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ ჩვეულების მიმართ?

— მართლმადიდებლური ეკლესია უარყოფითად არის განწყობილი ასეთ წეს-ჩვეულებებზე. მიცვალებულისათვის აუცილებელია გულის ჯვარი. არანაირად არ შეიძლება სხვა ნივთების ჩაყოლება.

— ჩვენში მიიჩნევენ, რომ გარდაცვლილის დაკრძალვამდე ჭირისუფალმა თავი უნდა ანებოს საოჯახო საქმეებს.

— ეკლესია არ უშლის ჭირისუფალს საოჯახო საქმეების მოგვარებას, მაგრამ ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, შიდა საოჯახო საქმეებს მეზობლები ინაწილებენ.

— მისაღებია თუ არა პანაშვიდზე და დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო მუსიკის შესრულება?

— თუკი მიცვალებული აღმსარებლობით მართლმადიდებელია, პანაშვიდზე და დაკრძალვაზე მისაღებია გალობა.

— უცილებელია თუ არა მიცვალებულის პირით აღმოსავლეთისაკენ დასვენება და რატომ?

— უფალი ამაღლდა აღმოსავლეთით. უფლის მეორედ მოსვლაც მისი დიდებით და სუფევით იქნება აღმოსავლეთიდან. ამიტომ აუცილებელია მიცვალებულის დასვენება პირით აღმოსავლეთით.

— ვიცით, რომ გარდაცვლილის თავთით ანთებული კანდელისა და კელაპტრის დადგმა ქრისტიანული ადათია, მაგრამ რა დატვირთვა აქვს ამ წესს?

— აუცილებელია მიცვალებულის თავთან დაბრძანდეს მაცხოვრის ან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი. აქედან გამომდინარე, ხატის წინ ინთება კანდელი ან სანთელი, რომელიც მარადიულ ნათელს ნიშნავს და ერთგვარი შესაწირიც არის.

— არსებობს წესიც მიცვალებულის დაკრძალვამდე მისთვის ღამისთევისა.

— ჩვენი წინაპრები დღე-ღამის განმავლობაში მიცვალებულს უკითხავდნენ ფსალმუნებს და აქედან შემორჩენილია მიცვალებულისათვის ღამის გათენება.

— როდის უნდა მოხდეს წესის აგება?

— წესის აგება მიცვალებულისა ხდება ტაძარში დაკრძალვის დღეს. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, წესის აგება შეიძლება ადრეც.

— რატომ იკურთხება წესის აგების დროს მიწა?

— როდესაც მიცვალებული იკრძალება, მაშინ ხდება საფლავის კურთხევაც, როდესაც ამის შესაძლებლობაა, ამიტომ იკურთხება მიწა წესის აგების დროს.

— რას გვეტყვით გარდაცვლილის სახელზე მომზადებულ ქელეხთან დაკავშირებით?

— მიცვალებულის სახელზე გაკეთებული ქელეხი ზომიერების ფარგლებში, მიცვალებულის სულზე გაღებული მოწყალების ერთ-ერთი სახეა.

— ქრისტიანულია თუ არა წესი დაკრძალვის მესამე დღეს საფლავზე გასვლისა?

— ახალშესვენებულს ეკლესიაში უნდა გადავუხადოთ პანაშვიდი პირველ დღეს, როდესაც გარდაიცვლება, მესამე დღეს, როდესაც პირველად წარდგება უფალთან, მეცხრე დღეს, როდესაც მეორედ წარდგება უფალთან და მეორმოცე დღეს, როდესაც ის პირად სამსჯავროზეა, ამასთანავე, შეიძლება საფლავზე გასვლა და მისი მოვლა-პატრონობა.

— რატომ არის აუცილებელი ქრისტიანის საფლავზე ნაკურთხი ჯვრის აღმართვა?

— რომელი ქრისტიანის საფლავიც არ არის ნაკურთხი და არ არის აღმართული ჯვარი, ასეთ საფლავებს ბოროტი სულები ეპატრონებიან, ამიტომ აუცილებელია საფლავზე ნაკურთხი ჯვრის აღმართვა.

— რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას საფლავზე საზრდელის გატანისა და სუფრის გაშლის მიმართ. ქრისტიანულია თუ არა მიცვალებულის სუფრებზე ცხვრის დაკვლის ტრადიცია, ხევში კი მით უმეტეს, შვიდი საკლავის დაკვლის ტრადიციაა?

— სისხლით მსხვერპლშეწირვა მიცვალებულის სულისათვის ძველ აღთქმაში სრულდებოდა, ახალ აღთქმაში უფლის ჯვარცმით მოხდა ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვა. ამიტომ ახლადშესვენებული სულისათვის ტაძარში უსისხლო მსხვერპლშეწირვის, ანუ წირვების დაყენება აუცილებელია.

გილოცავთ! 3 მარტი — დედის დღე

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედაქალაქს, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას „დედაბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნისდედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიადე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედებით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა?!

ილია ჭავჭავაძე

მარტის თვე მართლაც განსაკუთრებულია, მარტო ის რად ღირს, რომ მარტით გაზაფხული იწყება. სიცოცხლე იწყება და ქალიც ხომ სიცოცხლის საწყისია. ამიტომაა, რომ გაზაფხულის ამ მშვენიერ თვეს აღვნიშნავთ დედის დღეს.

ძვირფასო რაიონის ქალებო, წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია გილოცავთ დედის დღეს, მუდამ სითბოსა და სიყვარულს ახხივებდეს თქვენი თვალები.

ჩემი პირველი მასწავლებელი

მასწავლებელი! — ამ სიტყვის გაგონებაზე არ შეიძლება რაღაც განსაკუთრებული გრძნობა არ დამეუფლოს, რაღაც მოწიწება და პატივისცემა არ ვიგრძნო.

მასწავლებელი ყველა ბავშვის აღმზრდელი და ამავდროულად მშობელიცაა. ის თავის აღსაზრდელებზე დედობრივი სიყვარულითა და სითბოთი ზრუნავს.

სწორედ ასეთ სითბოსა და მზრუნველობას იჩენდა ჩვენს მიმართ ჩემი პირველი მასწავლებელი — ნინო ღუდუშაური.

კარგად მახსოვს, როდესაც პირველ კლასში შევედით, როგორ თბილად შეგვხვდა ჩვენი მასწავლებელი. თითოეულ ჩვენგანს მოგვეალერსა და შეგვიძღვა საკლასო ოთახში.

ის ყოველთვის ცდილობდა, რომ ჩვენ კარგად აღზრდილი, განათლებული და ზრდილობიანი ბავშვები ვყოფილიყავით. ის ზომიერად მკაცრიც იყო და ამავდროულად ძალიან თბილი და მეგობრულიც, და ის ცოდნა, რომელიც ჩვენ შევიძინეთ, მართლაც მისი დამსახურებაა. ის ყველა კარგი თვისება, რომელიც გაგვაჩნია, მან ჩამოგვიყალიბა წლების განმავლობაში.

ყველა ბავშვი მადლიერი უნდა იყოს თავისი მასწავლებლის, რადგან მასწავლებელს მოსწავლისთვის ყოველთვის სიკეთე უნდა.

იმედი მაქვს, რომ ნინო მასწავლებელი კიდევ ბევრ ლამაზ, განათლებულ და ზრდილობიან თაობას აღზრდის მომავალში.

ახლა კი მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენს მასწავლებელს ჩვენი კლასის სახელით თავისავით ლამაზი გაზაფხულის დღესასწაული მივულოცო — ნინო მასწავლებელო, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

თამუნა ქუშაშვილი

გიმნაზიის V კლასის მოსწავლე

ჩვენც დავბერდებით

დაბა სტეფანწმინდის უხუცესი მანდილოსანი თამარ ღუდუშაური მოვინახელე. მასთან საუბარში კიდევ უფრო დავრწმუნდი თუ როგორი პატივი უნდა ვცეთ უფროს თაობას. მათ წლები აწევთ მხრებზე, მეტნაკლებად განვლილი აქვთ ცხოვრების გზა, რომელსაც დაფასება უნდა.

ეს ჩემი ბებოს დარიგებიდანაც მუდამ მახსოვს. დღევანდელი ახალგაზრდები ვერ აცნობიერებთ, როგორი პატივი უნდა სცეთ წარსულსო. მართლაც, რომ ვაკვირდები, ახალ თაობას არა აქვთ უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობა, მით უმეტეს, თუ იციან, რომ ის საბჭოთა პერიოდში ამა თუ იმ თანამდებობაზე მუშაობდა.

დავინტერესდი ქალბატონი თამარის ბიოგრაფიით. ის 1931 წელს დაიბადა, პროფესიით ისტორიკოსია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რაიონულ აღმასკომში ინსტრუქტორის თანამდებობაზე, შემდეგ განყოფილების გამგედ, ბოლოს რაიკომის მდივანი იყო. მიღებული აქვს ჯილდოები, მედლები, სიგელები. საუბარში ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ადრე ხელმძღვანელობა ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვებულებს, დღეს კი ჩემნაირი მოხუცები მიავიწყდათო.

თავისი ცხოვრების განმავლობაში მუდამ ძმებსა და ძმისშვილებს ედგა გვერდში. ყველას ასწავლა და გზაზე დაყენა. სამეზობლოშიც ყველას მიმხედავი და დამხმარე იყო, სანამ შეეძლო. რაიონში მისაბაძი იყო თავისი დაუღალავი შრომით.

არ გიცნობდით თამარა დეიდა, მაგრამ რამდენიმე სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პატივისცემით განვმსჭვალულიყავი თქვენდამი და ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ცხოვრების ტვირთი აწევს მხრებზე, თმები გასჭაღარავებია. საუბარში ისიც აღნიშნეთ, რომ მართალია, საბჭოთა წყობის დროს რელიგია იკრძალებოდა, მაგრამ ჩემთვის ეს იყო მხოლოდ სიტყვით, სინამდვილეში კი სალოცავში ღამე მივდიოდი, ხშირად ფეხშიშველა და ვლოცულობდი. ხევი შედარებით დაცული იყო ათეისტური სწავლებისაგან. დღეს ნამდვილად განვიცდი სულიერ კმაყოფილებას და თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო არქიმანდრიტ ნიკოლოზს (ღლონტს), რომელმაც მომნათლა და ხშირად სახლში მაკითხავს, რომ მაზიაროს.

მე კი კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ადამიანი ასაკოვანია? ჩვენც ხომ მოვხუცდებით. აღარ ვიქნებით მიმზიდველნი, შეიძლება აზროვნებაც დაგვერღვეს. მერე რა, ხომ ვიყავით, ხოდა ჩემო თანატოლებო, ეცით პატივი უფროსებს, ნუ დაგეზარებათ მათთვის საქმის გაკეთება. შეაშველეთ ხელი ადამიანს, რომელსაც სახე დანაოჭებია და ხელები შრომით გაუხეშებია.

წარსულს პატივი ვცეთ. უფროსებს მოვეფეროთ ისე, როგორ მაგალითსაც ისინი იძლევიან.

ბოლოს კი, ქალბატონო თამარ, თქვენთან ერთად დედის დღე და ლამაზი გაზაფხულის დღეები მინდა მივულოცო თმაჭაღარა ქალბაოტნებს, როგორც ხევში, ასევე მთელ საქართველოში

თეა ალიბეგაშვილი

გიმნაზიის XI კლ. მოსწავლე

განთიადი ჩემს სოფელში

განთიადი ჩემს სოფელში ძალიან ლამაზია, როდესაც მზე თავის სხივებს ამოაჭყეტს ყველაფერს გაანათებს.

მოკრიალებული ლურჯი ცა ძალიან ლამაზია. წვიმის დროს ბალახზე მარგალიტის მძივივით მოფინება ნამი მთელ მიდამოებში და განთიადის სხივი ჯადოსნურად აციმციმებს მათ. ნელ-ნელა ამოიწვერება მზე. პირველად მყინვარი გაიღვიძებს, შემდეგ სამებას მოეფინება მზე. აჭიკჭიკდებიან ფრინველები და გაიღვიძებს ჩემი ყაზბეგი.

ანა კაზალიკაშვილი

გიმნაზიის V კლასის მოსწავლე



დედას

მე კვლავ ჩაგხედავ უღრმეს თვალებში
ყველაზე მეტად მე მათი მჯერა,
რადგან ქარიან თოვლის ნამქერში
ციცქნა ყვავილიც უმზეოდ კვდება.

შეუცვლელია ის სითბო განცდა,
რომელსაც მუდამ მე ვიღებ შენგან,
შეუცვლელია შენი სახელიც
რომელსაც გულის საკანში ვკეტავ.

დაწრეტილ იმედს შენი თვალები
კვლავ ძველებურად მივსებენ თითქოს,
შენ ხარ ნუგეში მარადჟამს ჩემი,
შენგანვე მოდის უშრეტი სითბო.

გულისფანცქალით ვეძებ შენს თვალებს,
შენი ღიმილი მზესავით მათბობს,
აჩრდილად დამდევს თან შენი სახე,
მომენატრები და სევდა მათრობს.

მიყვარხარ! — თქმაც კი ვერ გაგიბედე,
ჩემს გამო ბევრჯერ დაღვრილხარ ცრემლად,
მე კი სიტყვებიც ვერ გავიმეტე,
მაგრამ მიყვარხარ ყველაზე მეტად!

ხატია გელაძე

სიკეთე უსასრულოა (კონკურსისათვის)

რა არის სიკეთე? სად იწყება და მთავრდება ის?

რაც ადამიანი არსებობს, სიკეთე და ბოროტებაც არსებობს, თანაც გვერდიგვერდ. მაგრამ ბოროტება ისე ხმაურობს, ხანდახან ფიქრობ, ქვეყნად მარტო ის არისო. არადა, სინამდვილეში, სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს. მერე რა, რომ ხშირად შეუმჩნეველი რჩება... ყველა ადამიანშია სიკეთისა და ბოროტების მარცვალი, მთავარი ისაა, რომელს მისცემ გაღვივების უფლებას. იყო კეთილი — უდიდესი მეცნიერებაა. ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაგვარჩენს. სიკეთის კეთებას სიბრძნეც სჭირდება. კეთილი მარტო ის კი არ არის, ვინც სიკეთეს აკეთებს, არამედ — ვისაც ბოროტების ქმნა არ შეუძლია. ვისაც შენზე მცირე სახსარი აქვს, მას რომ დაეხმარები, ასეთი სიკეთე ღვთის წინაშეა შეწირული.

სიკეთე უსასრულოა, როგორც კაშკაშა მზე და მისი სხივები. მას საზღვარი არ აქვს. იგი ღვთისაგან ნაბოძები ნიჭი და მადლია. მხოლოდ სიკეთით შეიძლება სვლა ყოვლისშემძლე მწვერვალისკენ. სიკეთე სიყვარულია, უფლის და ადამიანის კავშირი სიყვარულით ხორციელდება, მხოლოდ წრფელი გრძნობით შეიძლება ღმერთთან დაახლოება.

სიკეთე თავად სიცოცხლეა, ვისაც სიკეთის თესვა არ შეუძლია, მის სიცოცხლეს აზრი არ აქვს. ადამიანი მაშინაა ძლიერი, როდესაც ღმერთი სწამს, ღმერთი აძლევს ადამიანს სიკეთის კეთების ნიჭს. ვაკეთოთ სიკეთე ჩუმად და ნუ დავითვლით, ნურც სამაგიეროს დაველოდებით.

დიდი სიკეთის ყველაზე კარგი მაგალითი დღეს გვაქვს ჩვენ თვალწინ.

წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის რექტორის, მეუფე იეგუდიელის დაუღალავი შრომისა და უდიდესი სიკეთის გამოვლინებაა გიმნაზიის დღევანდელი სახით ჩამოყალიბება. აქ სწავლა და ცხოვრება უდიდესი სიამოვნებაა და რაც ყველაზე დასაფასებელია, ჩვენ თავს ოჯახურ გარემოში ვგრძნობთ. მეუფე მაქსიმუმს აკეთებს ჩვენი როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი განვითარებისათვის. ის ჩვენთვის „სიკეთის უსასრულობის“ საუკეთესო მაგალითია. ჩემი აზრით, უფროსი კლასის მოსწავლეებმა, უმცროსებს, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ გააზრებული ზრუნვის ეს საუკეთესო მაგალითი, უნდა დავანახოთ სიკეთის უსასრულობა და მივბაძოთ მას და ჩვენს სულიერ მამებს.

ნატო წიკლაური
გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

45-ე გაზაფხული ცათა სასუფეველში

ყაზბეგის რაიონმა, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიამ და წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პედკოლექტივმა და მოსწავლეებმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი მაია (მარეხ) ვალიშვილი.

იგი დაიბადა 1969 წლის 6 ივნისს. დაამთავრა სტეფანწმინდის საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე.

1999 წელს წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის დაარსებისთანავე მუშაობა დაიწყო ისტორიის მასწავლებლად და უნდა ითქვას, რომ ყველა იმ გაჭირვებამა და სიდუხჭირემ, რომელსაც განიცდიდა გიმნაზია-პანსიონი დაარსების პირველ ეტაპზე, გიმნაზიის პედკოლექტივთან ერთად ქალბატონმა მარეხმა უშურველი ნებისყოფითა და შემართებით გადაიტანა. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სულიერებით. წლების განმავლობაში იყო ყაზბეგის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიის მედავითნე და მგალობელი. სადაც კი მუშაობდა ნათელ კვალს ტოვებდა. დაკისრებულ მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობითა და კომპეტენტურობით გამოირჩეოდა.

ვინც კი მაია (მარეხ) ვალიშვილს იცნობდა, ყველა დამეთანხმება, რომ იგი იყო უდალატო, უაღრესად კეთილშობილი და ნათელი პიროვნება. ერთგულად იცოდა ადამიანის გვერდით დგომა, მისთვის ადამიანთა დახმარება ჩვეულებრივი მოთხოვნილება იყო და ყოველივე ამას უნაგაროდ აკეთებდა. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული, სადაცა მართალნი განისვენებენ.

წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის სრული შემადგენლობა.

სიკეთე უსასრულოა

ნახატი მარიამ სუჯაშვილის (კონკურსისთვის)

ფოტოკონკურსისათვის



კავკასიური ნაგაზი
ფოტო ლევან კობიაშვილის

გვირგვინოსანი მყინვარი
ფოტო ზურა ბაქრაძის

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო წიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი